მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, ს/ს "ნინოს" (ს/კ202886127) დირექტორი ნინო კვერნაძე (პ/ნ 01008047240) ვანიჭებ უფლებამოსილებას მარიამ ლაშაურს (პ/ნ 01017031844), როგორც კომპანიის საკუთრებასა და მმართველობაში არსებული ობიექტის - Fabrika Hostel-ის (შემდგომში „სასტუმრო") სასტუმრო მენეჯერს (Hotel Manager) მასზედ, რომ იგი უფლებამოსილია განახორციელოს სასტუმროს მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის საქმიანობა და შესაბამისად/გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები. აღნიშნული უფლებამოსილება, ასევე გულისხმობს ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით შემდეგ დოკუმენტებზე ხელისმოწერას:

1. შრომითი ხელშეკრულებები, მათთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია (ცნობა სამსახურიდან, თანამშრომლის გათავისუფლების ბრძანება, თანამშრომლის გათავისუფლების შეთანხმება, თანამშრომელზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანება, ბონუსის ბრძანება, დაწინაურების ბრძანება, შრომით კონტრაქტებში ცვლილებები, თანამშრომელსა და დამსაქმებელს შორის შეთანხმებები შრომით კონტრაქტში ცვლილებებთან დაკავშირებით და სხვა - ნებისმიერი დოკუმენტი შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით.

2. საოპერაციო ხელშეკრულებები - ობიექტის - სასტუმროს საქმიანობის ფარგლებში (ოთახების, მომსახურების, ქირავნობის/იჯარის (გარდა უძრავი ქონების, იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა და ყველა იმ ტიპის ქირავნობა/იჯარა რაც არ არის დაკავშირებული ობიექტის საქმიანობასთან) და სხვა ნებისმიერი ხელშეკრულება რომელიც დაკავშირებულია ობიექტის საქმიანობასთან, რომელთა ღირებულება განისაზღვრება 10000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს როგორც საჯარო (სამინისტროები, მერია, ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა) ისე კერძო პირებთან ურთიერთობას, მათ შორის საბანკო სექტორთან.

3. მიღება-ჩაბარების, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის, შედარების და სხვა ნებისმიერი აქტები, რომლებიც დაკავშირებულია ობიექტის საქმიანობასთან - 10000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში.

4. შესყიდვის ხელშეკრულებები (პროდუქცია/მოძრავი ნივთები (გარდა უძრავი ქონებისა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა) - რომლებიც დაკავშირებულია ობიექტის საქმიანობასთან - 10000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში.

წინამდებარე მინდობილობით მინდობილი პირი უფლებამოსილია მესამე პირებზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადანდობაზე. წინამდებარე მინდობილობა ასევე გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან ობიექტის საქმიანობის ფარგლებში. მოცემული მინდობილობის ფარგლებში, მინდობილობის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი შინაარსის ცნობა და ამონაწერი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიდან, წარადგინოს განცხადებები, ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული ობიექტის მართვასთან.

მინდობილობა გაცემულია 2022 წლის 10 მარტს და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

ს/ს "ნინო" (ს/კ202886127)

დირექტორი

ნინო კვერნაძე

FABRIKA HOSTEL

სს ნინო 202886127 JSC Nino 202886127